საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030616315156720

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3958 **22 / სექტემბერი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, გაეროს ბავშვთა ფონდსა და ურთიერთთანამშრომლობით მომზადდა COVID-19-თან დაკავშირებული რისკის კომუნიკაციისა და საზოგადოების ჩართულობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2020-2022 წლებისათვის (შესაძლო გაგრძელებით); სტრატეგიის ფარგლებში ასევე შემუშავდა საკომუნიკაციო გეგმა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისათვის.
სტრატეგიის მიზანია საზოგადოებასთან სწორი და დროული ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებით, საზოგადოების წევრებმა გაიღრმავონ ცოდნა COVID-19-თან და მისი პრევენციის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ხელი შეუწყონ ქვეყნის COVID-19-თან მზადყოფნასა და რეაგირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას.
COVID-19-თან დაკავშირებული რისკის კომუნიკაციისა და საზოგადოების ჩართულობის სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას და პანდემიის წინააღმდეგ ქვეყანაში არსებული საპასუხო ღონისძიებების გატარების საჭიროების გათავისებას.
შემდგომი რეაგირებისათვის წარმოგიდგენთ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში განახლებულ დოკუმენტს, განსაახლებელია მხოლოდ 1505-ის მონაცემები. დოკუმენტში დეტალურად განსაზღვრულია ღონისძიებები, მასალები, პასუხისმგებელი სტრუქტურები, ვადები და ბიუჯეტი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე